



საარჩევნო კომისიის ამოცანები



პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.



თქვენი ამოცანები



I მოდული



1. წარუდგინეთ თქვენი თავი ერთმანეთს.

თუკი ამ ტექსტში ჩახედვამდე ეს არ გაგიკეთებიათ - გააკეთეთ ახლა, გამოიგონეთ თქვენი როგორც კავკასიელის მოქალაქეების ახალი ბიოგრაფიები. ვინ გინდათ რომ იყოთ ახალ სახელმწიფოში? ექიმი, ფენსაცმლის დიზაინერი თუ თავისუფალი სულის ადამიანი რომელიც თავის მიწის ნაკვეთში მუშაობს? შეადგინეთ თქვენი თავის მოკლე აღწერა - რა განათლება გაქვთ, რა ასაკში ხართ, გყავთ თუ არა ოჯახი? მთელი დღის განმავლობაში თქვენ ამ ახალი პიროვნებების როლებში იქნებით.

2. თქვენი ჯგუფი საარჩევნო კომისიაა – თქვენი მთავარი ამოცანაა კავკასიელში არჩევნების მომზადება და ჩატარება, აგრეთვე იმის უზრუნველყოფა რომ მთელი პროცესი დადგენილი ნორმებისა და წესების მიხედვით ჩატარდეს.

გადაწყვიტეთ - რომელი თქვენგანი იქნება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხოლო რომელი - მდივანი.



თავმჯდომარე - წარმოადგენს პიროვნებას რომელიც აკონტროლებს საარჩევნო კომისიის მთელი მუშაობის პროცესს. თავმჯდომარე ამტკიცებს საარჩევნო კოდექსს და დანარჩენ მონაწილეებს წარუდგენს არჩევნების წესებს. თავმჯდომარე ამტკიცებს პარტიების რეგისტრაციას და არჩევნების შესაბამისობას არსებულ წესებთან. მას გადამწყვეტი ხმა გააჩნია საარჩევნო კოდექსის დარღვევებთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში.



მდივანი – მდივნის მოვალეობას წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის - ანუ საარჩევნო წესებისა და პრინციპების კრებულის ერთ მთლიანობად შეკვრა, აგრეთვე ხმის მიცემის ოქმის მომზადების პროცესის და აღნიშნული ოქმის დამატებითი შევსების პროცესის გაკონტროლება.



პრეს-სპიკერი – იგი ზრუნავს იმაზე რომ საარჩევნო კოდექსის პრინციპები ნათლად და მკაფიოდ იქნას წარდგენილი, იგი წარმოადგენს მედიასთან მოკონტაქტე ძირითად რგოლსაც. პრეს-სპიკერი ურთიერთობს პარტიებთანაც საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებათა თემაზე.

3. შეიმუშავეთ საარჩევნო კოდექსის პრინციპები - ანუ არჩევნების მომზადებისა და ჩატარების წესები. იმდენად რამდენადაც ეს რთული დოკუმენტია - თქვენ მიიღებთ დახმარებას ტექსტის ნიმუშის სახით რომელსაც შეიძლება დაეყრდნოთ საკუთარი ტექსტის შექმნის პროცესში. გაითვალისწინეთ სიმულაციის სპეციფიკა და მიუსადაგეთ ადგილობრივ რეალიებს ცალკეული პუნქტები რომლებიც საარჩევნო კამპანიასა და არჩევნებს ეძღვნება. გახსოვდეთ რომ სიმულაციის ყველა მონაწილეს ჯერ 18 წელი არ შესრულებია და ამიტომაც საარჩევნო კოდექსის დარღვევისათვის „სასჯელი“ მსუბუქი უნდა იყოს (ჩაბუქვები, აზიდვები, სიმღერის შესრულება და ა. შ.)

4. საარჩევნო კოდექსის შექმნისას პასუხი გაცემით ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს. პასუხები განათავსეთ ერთიან დოკუმენტში რომელიც პარაგრაფებისაგან შედგება.

- რა ჰქვია დოკუმენტს რომელზეც მუშაობთ და რას შეეხება იგი?
- ვის შეუძლია ხმის მიცემა კავკასიონდის საპარლამენტო არჩევნებში?
- ვის შეუძლია საკუთარი კანდიდატურის წამოყენება კავკასიონდის საპარლამენტო არჩევნებში?



- ვის შეუძლია სხვა კანდიდატების წამოყენება?
- საჭიროა თუ არა საარჩევნო ბიულეტენზე ხელის მოწერა?
- შეუძლია თუ არა ერთ ადამიანს რომ სხვა ადამიანის ნაცვლად მისცეს ხმა?
- ვინ შედის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში?
- რა ამოცანები აქვს საარჩევნო კომისიას?
- შეიძლება თუ არა არასწორი ინფორმაციის გავრცელება სხვა კანდიდატების შესახებ?
- რა პერიოდში ტარდება საარჩევნო კამპანია? რა პირობებით ტარდება იგი? რა არის დაშვებული და რა რის აკრძალული? როგორი სასჯელები არსებობს წესების დარღვევისათვის?
- არის თუ არა სავალდებულო წინასაარჩევნო სიხუმე და როდის?
- რა განსაზღვრავს ხმის ნამდვილობას? რა შემთხვევაში ანულირდება საარჩევნო ბიულეტენი?
- ვინ თვლის ხმებს და როგორ უნდა განისაზღვროს თუ ვინ გახდება კავკასიონის პარლამენტის დეპუტატი?

პრობლემების შემთხვევაში სთხოვეთ ტრენერებს რომ საარჩევნო კოდექსის მაგალითი წარმოგიდგინონ.

კონფერენციის შემდეგ, თვალსაჩინო ადგილას გამოფინეთ ქალაქში ჩამოწერილი საარჩევნო კოდექსის პრინციპები და აგრეთვე მოახდინეთ პარტიებისა და მათი კანდიდატების რეგისტრაცია.

II მოდული



1. კონკრეტული პარტიების, მათი დასახელებებისა და მათი კანდიდატების შესახებ შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე შეადგინეთ საარჩევნო ბიულეტენები. გახსოვდეთ რომ ბიულეტენში აგრეთვე განთავსებული უნდა იყოს მისი ხმარების ინსტრუქცია (ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა მისცეს მოქალაქემ ხმა) რათა ამომრჩეველმა ხმის მიცემის დროს შეცდომა არ დაუშვას. საარჩევნო ბიულეტენები იმ რაოდენობით უნდა დაგებდეთ ან დავაქსეროქსოთ რომ რომ ეგზემპლარები ყველა ამომრჩეველს ეყოს (უნდა გაითვალისწინოთ ის თუ ვინ მიიღებს ხმის მიცემაში მონაწილეობას: მხოლოდ სიმულაციაში მონაწილე პირები თუ სხვა, გარეშე პირებიც).

2. ყურადღება მიაქციეთ სიმულაციის მონაწილეთა სიას რომელიც ამავედროულად ამომრჩეველთა სიასაც წარმოადგენს. ზუსტად ხმის მიცემის დაწყების წინ ერთმანეთში გაინაწილეთ საარჩევნო სიები და აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენები რათა რათა ყველა ამომრჩეველმა ერთ ადამიანთან არ მოიყაროს თავი. ხმის მიცემის პროცესში რამდენიმე მაგიდასთან უნდა ხდებოდეს საარჩევნო ბიულეტენების გაცემა და ხელის მოწერა (მაგალითად, შეიძლება მაგიდები გავყოთ ანბანური პრინციპით: 1-ლი მაგიდა ა-დან კ-მდე, მე-2 მაგიდა ლ-დან რ-მდე და მე-3 მაგიდა ს-დან ჰ-მდე).

3. საარჩევნო კამპანიის პერიოდში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჟურნალისტების ან პარტიის წარმომადგენლების მიერ საჩივრების შემოტანას რომლებიც საარჩევნო კოდექსის პრინციპების დაუცველობასთან იქნება დაკავშირებული. თუკი ვინმე ამკარად არღვევს წესებს - კომისია ვალდებულია რომ ამაზე რეაგირება მოახდინოს და დასაჯოს ის პირი რომელიც საარჩევნო კოდექსის პრინციპებს არღვევს (თუკი თქვენ თავიდანვე არ ჩადეთ საარჩევნო კოდექსში დარღვევებთან დაკავშირებული სანქციები - მაშინ საარჩევნო პროცესის მოცემულ ეტაპზე შეუძლებელი იქნება პარტიებისათვის შესაბამისი პასუხის მოთხოვნა).



III მოდული



1. ცოტა ხანში დაიწყება მედიის მიერ ორგანიზებული დებატები - მიიღეთ მასში მონაწილეობა საზოგადოების წარმომადგენლების როლში.

2. ჟურნალისტების მიერ ორგანიზებული დებატების შემდეგ მოამზადეთ დარბაზი ხმის მიცემის პროცესისათვის. საჭირო იქნება გრძელი მაგიდა კომისიის წევრებისათვის სადაც განთავსდება ბიულეტენის გასაცემი და ხელის მოსაწერი პუნქტები. უნდა იზრუნოთ იმაზე რომ საარჩევნო კოდექსი და კანდიდატების სიები თვალსაჩინო ადგილას იყოს გამოფენილი. ადგილი სადაც ამომრჩევლები ხმას მისცემენ - განცალკევებული უნდა იყოს რათა ამომრჩეველს შეეძლოს დამოუკიდებლად და მესამე პირების ჩარევის გარეშე ხმის მიცემა.

3. მანამდე სანამ ამომრჩეველს საარჩევნო ბიულეტენს მისცემდეთ - მისი ვინაობა უნდა დაადასტუროთ. ამისათვის აუცილებელია მისი პირადობის მოწმობის შემოწმება და თხოვნა რომ ამომრჩეველთა სიას ხელი მოაწეროს. საარჩევნო ბიულეტენების გაცემისას ამომრჩეველს აუხსენით თუ როგორ უნდა მისცეს ხმა ისე რომ ბიულეტენი არ გააფუჭოს (მან ჯვარი უნდა დასვას მისი სასურველი ერთი კანდიდატის გვარის გასწვრივ დაბეჭდილ უჯრაში). საარჩევნო ბიულეტენები ურნაში უნდა ჩაიყაროს.

4. ყველა უფლებამოსილი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის შემდეგ, საჭიროა შედეგების დათვლა. აიღეთ ურნა და ურნიანად გაბრძანდით სხვა დარბაზში. თავდაპირველად დაითვალეთ ხმების მთლიანი რაოდენობა ურნაში. შემდეგ ერთმანეთს შეადარეთ ურნაში არსებული და გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (აგრეთვე ადრით ამომრჩეველთა სიაში არსებულ ხელმოწერებს). ეს რიცხვები ერთმანეთს უინდა ემთხვეოდეს (თუმცა შეიძლება ასე არც იყოს). შეამოწმეთ - არის თუ არა ისეთი ბიულეტენები რომლებიც თქვენი საარჩევნო კოდექსის დებულებების შესაბამისად ბათილად





შეიძლება ჩაითვალოს, ამ ყველაფრის შემდეგ კი ცალ-ცალკე ითვლით თითოეული კანდიდატისათვის მიცემულ ნამდვილ ხმებს.

5. გამოაცხადეთ არჩევნების შედეგები პროცესის დამაგვირგვინებელ პრეს-კონფერენციაზე.



სარჩევნო კოდექსის ნიმუში



ქვეყანა Y-ის საარჩევნო კოდექსი საპარლამენტო არჩევნებისათვის რომლებიც X დღეს ტარდება.

§ 1

მოცემული საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს Y ქვეყანაში ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნების წესებსა და პრინციპებს.

§ 2

საპარლამენტო არჩევნები არის თანაბარი, ფარული, საყოველთაო, უშუალო და პროპორციული.

§ 3

Y ქვეყანაში ირჩევა 2 საპარლამენტო დეპუტატი.

§ 4

ხმის მიცემის უფლება (აქტიური საარჩევნო უფლება) გააჩნია სიმულაციის ყველა მონაწილეს რომელსაც აქვს მოქმედი სასკოლო მოწმობა და არის 15 წლის და მეტი ასაკის.

§ 5

კანდიდატურის წამოყენების უფლება (პასიური საარჩევნო უფლება) გააჩნია პოლიტიკური პარტიის ჯგუფის ყველა მონაწილეს რომელსაც აქვს მოქმედი პირადობის მოწმობა.

§ 6

საპარლამენტო არჩევნებს ატარებს საარჩევნო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედის 5 შემთხვევით არჩეული წევრი რომლებიც სიმულაციის მონაწილეები არიან.

საარჩევნო კომისიის ვალდებულებებში შედის:

- a. ზედამხედველობის განხორციელება საარჩევნო კანონმდებლობის დაცვაზე;
- b. პარტიებისა და კანდიდატებისაგან რეგისტრაციაზე განაცხადების მიღება;
- c. კანდიდატების ვინაობისა და საარჩევნო კამპანიის წესების გამოცხადება;
- d. არჩევნების თარიღისა და ადგილის გამოცხადება;
- e. იმ პირთა და პარტიათა შესახებ შესული საჩივრების განხილვა რომლებიც საარჩევნო კანონმდებლობას არღვევენ;
- f. არჩევნების მომზადება და ჩატარება;
- f. ხმების დათვლა;
- g. არჩევნების ოქმის მომზადება და არჩევნების შედეგების გამოცხადება.

§ 8

თუკი გავრცელებული საარჩევნო მასალები, კერძოდ კი პლაკატები, ფლაერები, აგრეთვე სლოგანები და განცხადებები, აგრეთვე წარმოებული წინასაარჩევნო აგიტაციის ნებისმიერი სხვა ფორმა შეიცავს არასწორ ინფორმაციას - საარჩევნო კომისიას უფლება აქვს რომ დეპუტატობის კანდიდატი ან თვით მისი პარტიაც დასაჯოს შემდეგი მეთოდებით:

- 1) აკრძალოს ამგვარი ინფორმაციების გავრცელება;
- 2) კონფისკაცია გაუკეთოს იმ წინასაარჩევნო მასალებს რომლებიც ამგვარ ინფორმაციას შეიცავენ;
- 3) დაავალდებულოს მხარე რომ ადრე გავრცელებული, ამგვარი ინფორმაცია უარყოს;
- 4) უფლება მისცეს მხარეს რომ მან პასუხი გასცეს მისი ღირსების შემლახავ პუბლიკაციებს;
- 5) დაავალდებულოს მხარე რომ მან ბოდიში მოუხადოს პირს რომლის ღირსების შელახვაც მოხდა.

§ 9

საარჩევნო კამპანია მთავრდება არჩევნების დაწყებამდე 10 წუთით ადრე.

§ 10

საარჩევნო ბიულეტენებზე პარტიების ნომრები ჯგუფების ნომრების თანმიმდევრობითაა მითითებული.

§ 11

ამომრჩეველი ხმას აძლევს საარჩევნო ბიულეტენზე ნიშან „x“-ის დასმით რომელიც უნდა განთავსდეს ერთ-ერთი პარტიის კანდიდატის გვარის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს არსებულ უჯრაში. ამ ნიშნის დასმით ამომრჩეველი გამოხატავს საკუთარ ნებას რომლითაც უპირატესობას ანიჭებს ერთ კანდიდატს სადეპუტატო მანდატისათვის ბრძოლაში.

§ 12

ხმა ბათილად ითვლება თუკი საარჩევნო ბიულეტენზე ნიშანი „x“ დასმულია სხვადასხვა სიების წარმომადგენელი ორი ან მეტი კანდიდატის გვარის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს არსებულ უჯრებში. ხმა ასევე ბათილად ითვლება თუკი ნიშანი „x“ საერთოდ არ არის დასმული არცერთი სიის წარმომადგენელი კანდიდატის გვარის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს არსებულ უჯრაში.

§ 13

საარჩევნო ბიულეტენზე დამატებითი გვარების ან დასახელებების მიწერა, ანდა სხვა მინაწერების გაკეთება უჯრის მიღმა - ხმის ნამდვილობაზე ან ბათილობაზე გავლენას არ ახდენს.

§ 14

არჩევნების შედეგების დადგენის პროცესში საარჩევნო კომისია ითვლის:

- a. ბათილი ხმების რაოდენობას;
- b. მთლიანობაში მიცემული ნამდვილი ხმების რაოდენობას;
- d. ცალ-ცალკე აღებული ყველა კანდიდატისათვის მიცემული ნამდვილი ხმების რაოდენობას.